ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

№94 (1604)

27-28 სექტემბერი, 1997 წელი

ოთხი წელი ბრძოლის წაგებიდან


აფხაზეთი
ეკონომიკა
ეკონომიკა
ეკონომიკა

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება

როგორც მოგეხსენებათ ყველას, საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა დღეს საქართველოსთვის, ისევე, როგორც ყველა ქვეყნისთვის ყველა დროში და, შესაძლოა, უფრო მეტადაც – უპირველესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. ბრძოლისუნარიან შეიარაღებულ ძალთა გარეშე ვერ განხორციელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც ჩვენი სახელმწიფოსთვის დღეს ყველაზე მძიმე პრობლემაა.

„საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, რომელმაც უნდა შეცვალოს აქამდე მოქმედი კანონი, პრესაში არ გამოქვეყნებულა, რის გამოც მასზე მხოლოდ პროექტის მიხედვით ვმსჯელობთ, რომელიც ხელთ გვაქვს. ეს პროექტი შეიცავს მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებიც აქვეითებენ საქართველოს ბრძოლისუნარიანობას და მეტყველებენ იმაზე, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სიტყვით აღიარების მიუხედავად, ძირი გამოუთხაროს მას.

მხედველობაში მაქვს შემდეგი პუნქტები

1. მუხლი 5. პუნქტი 1.

„სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები პირადი სურვილით და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნენ საქართველოს სამხედრო სამსახურში“.

ეს პუნქტი გზას უხსნის საქართველოს შეიარაღებულ ძალთა სარდლობის უმაღლესი ეშელონების, აგრეთვე ოფიცერთა და სერჟანტთა კორპუსის დაკომპლექტებას უცხო ქვეყნის პროფესიონალებით, კერძოდ – რუსეთის სამხედრო სპეციალისტებით – და, ამგვარად, საქართველოს შეიარაღებულ ძალთა გადაქცევას სატელიტურ შეიარაღებულ ძალებად. ამავე დროს უცხო ქვეყნის მოქალაქე, თუკი იგი გადის სამსახურს საქართველოს სამხედრო ძალებში, ითვლება სამხედრო მოსამსახურედ, მუხლი 32, პუნქტი 2-ის ძალით, და იგი „ითვლება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლად“, იმავე მუხლის მე-3 პუნქტის ძალით. აძგვარად, საქართველოს პრეზიდენტს უფლება ეძლევა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაგან შეიქმნას სამხედრო ნაწილი, რომელსაც უფლება ექნება მისი ხელისუფლება დაიცვას უკმაყოფილო მოქალაქეებისაგან სამხედრო ძალით.

2. მუხლი 30, პუნქტი 1 ა): „(სამხედრო სამსახურისგან თავისუფლდება):

ბ) პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური გაიარა სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში“.

ეს დებულება წინააღმდეგობაშია ამავე კანონის „1“ მუხლთან, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მოვალეობაა“ და წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა წაბიძგებას უცხო ქვეყნისათვის – პრაქტიკულად, რუსეთისთვის – სისხლის დასაღვრელად.

ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, იქნა თუ არა კანონი მიღებული ამ სახით და, მით უმეტეს, იქნება თუ არა იგი ამ სახით მიღებული საბოლოოდ. მაგრამ მისი ამ სახით გამოტანა პარლამენტის სამსჯელოდ თავისთავად დანაშაულია ქვეყნის წინაშე.

შვილო, ზურაბ, როდემდის?

მაღალი ტრიბუნა – ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სოციალურად დაუცველი ფენის პირობების გასაუმჯობესებლად...

დაბალი ტრიბუნა – (პურის მაღაზიაში შესული ხელჯოხიანი დედაბერი) – შვილო, ერთი შენს გახარებას, ეს ხურდები დამითვალე, ერთი პური მომივა?

მაღალი ტრიბუნა – ღმერთი არ გვაპატიებს, ზრუნვა მოვაკლოთ პენსიონრებს, ხალხს, რომელთაც... ხალხს, რომელთაც... ხალხს, რომელთაც... ხალხს, რომელთაც...

დაბალი ტრიბუნა – (უშვილძირო, მისი ოთახის თავის ბინასთან შეერთების იმედით „გაკეთილშობილებული“ მეზობლის ხელისშემყურე ბერიკაცი) – ხალხს, რომელთაც თავის პენსიით მხოლოდ ორ კვირას შეუძლია პურის ყიდვა... დანარჩენი შორეულ მოგონებად დარჩა. ეჰ, წამალი მაინც არ მჭირდებოდეს...

მაღალი ტრიბუნა – გაივლის რამდენიმე წელი და ჩვენ აუცილებლად დავძლევთ სიძნელეებს, გამოვალთ კრიზისიდან, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ერთერთ მოწინავე, აყვავებულ ქვეყნად გადაიქცევა...

დაბალი ტრიბუნა – (ფოსტის წინ პენსიის მომლოდინეთა რიგიდან) – რამდენიმე წლის მერეო... ღმერთო, ამ პენსიით რამდენ ხანს გამაძლებინებ?..

პენსია და პენსიონრები...

ნეტავ მას, ვინც ფოსტის ახლოს არა ცხოვრობს. არა მკითხოთ, რომლის, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ ქალაქშია და რომელ ქუჩაზე.

ნეტავ ყოველდღე არ ვხედავდე შიმშილთან შერწყმულ მოლოდინით დაღარულ სახეებს. ვისაც ეს „სიამოვნება“ არ განგიცდიათ, აბა, ერთხელ გაიარეთ, თქვენც „დატკბით“ ცისმარე დილიდან საღამომდე ჩაუმუხვლელად მდგომი პენსიოსრების ხილვით, „გასართობად“ ზოგნი ერთმანეთში საკინკლაოს ეძებენ, უამრავნი კი გულმოდგინედ იგინებიან, იწყევლებიან ამ მდგომარეობის შემქმნელთა, ამ სპექტაკლის რეჟისორთა მისამართით. რა ვუყოთ, რომ ზოგჯერ არაზუსტადაც, მაგრამ გულს ხომ იფხანენ, იფხანენ და მერე როგორ. როგორც სულმნათი ილია ბრძანებდა, ფხანა ქეცმა იცისო, დღევანდელი ქეცის გაჩენა კი უსუფთაობამ. სწორედ საპნისა და პურის ყიდვა უნდათ ამ გადალასლასებულებს, თორემ შერყეულ-დაძაბუნებული ჯანმრთელობის აღსადგენად წამლის შეძენაზე ხომ ვერც კი იოცნებებენ...

ამგვარად..., და ასე შემდეგ..., იმიტომ, რომ..., რაც მთავარია... რაც დაუშვებელია, თვეში რვა თუ ცხრა ლარის მისაღებად ორ კვირაზე ნაკლები დრო არც ერთ პენსიონერს არ გაუტარებია ფოსტასთან, რომ აღებული რვა ლარით დაამტკიცონ, რა ნიჭიერი, მოხერხებული და ალღოიანი დიასახლისები არიან.

...და ირჩევა ამ მთისა და იმ ბარის საქმე. იქსოვება წინდები, თავიანთ საგმირო საქმეებს ჰყვებიან ნაფრონტალი ბერიკაცები, ტარდება კულინარიის გაკვეთილი ერთი სტაფილოს, ორი კარტოფილის, ერთი მომცრო თავი ხახვის, სამი კომბოსტოს ფოთლისაგან უცხიმოდ მომზადებული წეხიანის უგემრიელესობაზე...

შვილო, ზურაბ, სადამდის?

შვილო, ზურაბ, როდემდის?

ოლია ბრაგვაძე

„ე.შევარდნაძის სასტიკი პოლიტიკური ხელისუფლება სისტემატურად ახშობს ოპოზიციურ და თავისუფალ აზრს“

ნათქვამია სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის გ.კერვალიშვილის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში. ასოციაციის პრეზიდენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს უნივერსიტეტის ეზოში პოლიციელთა მიერ ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის მიტინგის დარბევისა და პარტიის ლიდერის ლეილა ცომაიას დაკავების გამო. გ.კერვალიშვილი კატეგორიულად მოითხოვს „სინდისის ტუსაღის“ ლ.ცომაიას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. (იშრინდა)

უძალლო ქვეყანა

როგორც საქართველოს კონტროლის პალატა იტყობინება, დეპარტამენტ „საქნახშირის“ სახაზინო საწარმო „ტყიბულნახშირზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 სექტემბრის №617 ბრძანებულების შესაბამისად მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების და პენსიების დავალიანების დასაფარავად მიზნობრივად გამოყოფილი 300 ათასი ლარიდან სკბ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტის და ამავე ბანკის წარმომადგენლის წერილობითი დავალებით 1996 წლის 20 სექტემბერს „საქართველოს ბანკის“ ტყიბულის განყოფილების მიერ აღნიშნული ბრძანების უგულებელყოფით მოხსნილია 112 ათასი ლარი. 1996 წლის მარტში აღნიშნული ბანკიდან სესხი აღებული ჰქონდა „საქნახშირის“ დეპარტამენტს, რაზედაც გირაოში ჩადებული იყო 4 ათასი ტონა ქვანახშირი. ამდენად, ბანკის მიერ მარტში გაცემული სესხის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო არა „ტყიბულნახშირის“ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასებისა და პენსიების დავალიანების დასაფარავად გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტიდან, არამედ დეპარტამენტ „საქნახშირის“ ანგარიშიდან, ან გირაოში ჩადებული ქვანახშირის რეალიზაციიდან. ამავე დროს, საქციო საზოგადოება „ტყიბულნახშირის“ მიერ პენსიების გაცემა ნაწარმოებია არაპროპორციულად. კერძოდ, „იმერეთის“ მაღაროს, ნაცვლად 18 ათასი ლარისა, მიღებული აქვს 13 ათასი ლარი, „დასავლეთის“ მაღაროს კი ნაცვლად 9 ათასი ლარის, მიღებული აქვს 11 ათასი ლარი ანუ 2 ათასი ლარით მეტი. უფრო მეტიც, „იმერეთის“ მაღაროზე საპენსიო უწყისში პენსიები გამოწერილია არაპროპორციულად. მაგალითად, პენსიონერთა ნაწილს მიღებული აქვს პენსია 1993 წლის აპრილიდან 1996 წლის სექტემბრამდე, მაშინ, როცა რიგ პენსიონერებზე პენსიები გაცემულია მხოლოდ 1996 წლის იანვარ-თებერვალში. (ბეა)

ტყეს ნუ შესნირავთ გიშერსა...

ტყიბულის ზონაში მასიური ხასიათი აქვს ლიცენზიის გარეშე ტყის მასივის უკანონო გაჩეხვასა და ნახევრადძვირფასი ქვის – გიშრის მოპოვება-რეალიზაციას, რამაც გამოიწვია უზარმაზარი ხე-ტყის მასივის განადგურება და სერიოზულად დააზიანა მიწის საფარი.

როგორც საქართველოს კონტროლის პალატა იტყობინება, გიშრის საბადოს დამუშავება წარმოებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ნორმატული აქტების უხეში დარღვევებით. აღნიშნული საქმიანობა კი, რატომღაც, ქალაქის ხელმძღვანელობის, სამართალდამცავი და საგადასახადო ორგანოების ყურადღების მიღმა იდგა, რამაც შედეგად ის მოიტანა, რომ რამდენიმე წელია აღურიცხავი რაოდენობის გიშრის ქვა გაედინება საქართველოდან ნებართვის გარეშე და მისი წარმოების შედეგად ბიუჯეტში არანაირი ამონაგები არ შედის. (ბეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიარქი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში მოგზაურობს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, მსოფლიო საპატრიარქოს ინიციატივით გამართულ ქრისტიანული სამყაროს პატრიარქთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩარჩოებში, 20 სექტემბრიდან შავი ზღვის აუზის ქვეყნებში მოგზაურობს.

როგორც „იფრინდა"-ს კორესპონდენტს საპატრიარქოს პრეს-ცენტრში აცნობეს, ილია მეორეს მოგზაურობის მიზანია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ეკოლოგიური და სულიერი პრობლემების გაცნობა.

სასულიერო პირთა აზრით, „შავი ზღვა წარმოადგენს თავისებურ მიკროკოსმოსს და იქ მიმდინარე პროცესები მსგავს გამოვლინებებს ოკეანეებში ჰპოვებს".

სიმპოზიუმის დამასრულებელ ღონისძიებად იქცევა შავი ზღვის აუზის ქვეყნების სასულიერო პირთა ლიდერების შეხვედრა, რომელიც საბერძნეთის ქალაქ სალონიკში გაიმართება და ეკოლოგიურ პრობლემებსა და შავი ზღვის კატასტროფებისაგან გადარჩენის საკითხებს მიეძღვნება.

კათოლიკოს-პატრიარქის ვოიაჟი შავი ზღვის ქვეყნებში 30 სექტემბერს დასრულდება. (იფრინდა)

27 სექტემბერი — ჯვართამაღლების დღესასწაული

27 სექტემბერს (ძველი სტილით 14 სექტემბერს), მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ჯვართამაღლების დღესასწაულს.

27 სექტემბერს მყინვარწვერზე აღიმართება ჯვარი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემიის, ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის წარმომადგენლებმა დაამზადეს. ბაგრატის ტაძარში ნაკურთხი ჯვარი ქუთაისიდან თბილისისაკენ 22 სექტემბერს წამოასვენეს, ხოლო 24 სექტემბერს ჯვარი ყაზბეგში წაბრძანეს.

27 სექტემბერს გერგეთის წმინდა სამების ეკლესიაში შესრულდება პარაკლისი, რის შემდეგაც მთამსვლელთა დახმარებით ჯვარი მყინვარწვერზე აღიმართება. კავკასიონის მაღალ ქედზე პირველად აღმართულ ჯვარს ეკლესია შეავედრებს საქართველოს, მის მთლიანობასა და მშვიდობას. იქვე დაინთება სამი კელაპტარი: საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელისთვის, მეორე - საქართველოს მთავრობის, მხედრობისა და მთელი ერისათვის და მესამე - მსოფლიოში მშვიდობისათვის. (იფრინდა)

მაღე ბაჭონყმობაც აღსდგება...

ბინახავთ ქართველი გლეხი? ვისაც არ უნახავს, წარმოდგენა მაინც ექნება მის შესახებ. მაშინ უნდა იცოდეთ, რომ მისი წარმოდგენა არ იქნება ობიექტური. საზოგადოდ ასე წარმოიდგენენ ხოლმე: ჭარმაგი, ახოვანი, მზისგან გარუჯული, ხელებდაკოურილი. ბოლო ორი ნიშანი მართლაც ახასიათებს ქართველ გლეხს. მაგრამ ტანით ძნელად ვინმე თუ შეგხვდებათ ახოვანი და ბეჭგანიერი. არაადამიანური შრომა, მიწასთან ბრძოლა მათ გარეგნობას თავისებურად გარდაქმნის. აბა, სცადონ ქვეყნის დალხენილმა მმართველებმა, არაადამიანური მუშაობის რიტმსა და დაღლილობას რომ უჩივიან, ერთ დღეს დილიდან საღამომდე თავაუღებლივ ეჭიდაონ მიწას, როგორც ეს გლეხები აკეთებენ ამას ყოველდღე, ყველანაირ ამინდში, რა დღეში ჩავარდებიან. მგონი, ძალების აღსადგენად ის კომფორტული საშუალებებიც არ ეყოთ, რაც აქვთ.

ეს ხალხი კი, რომელიც დღენიადაგ მიწაზეა მიჯაჭვული, ახლა იურისტიც უნდა გახდეს, დიპლომატიც, კურიერიც, მწერალი და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამის სწავლა მოუწევთ (ვაჭრობა ხომ კარგა ხანია ასწავლეს) მთავრობის ფოკუსების გადამკიდეს. ნუთუ ასე ძნელია მუშაობის საშუალება მისცენ, ისე მოუწყონ საქმე, რომ თავისი კუთვნილი უპრობლემოდ მიიღონ, ნახევარი წელიწადი ყიდვა-გაყიდვაში არ დაკარგონ. განა ამასაც ევროპის კრედიტები სჭირდება? არა, ამას ნორმალური, საქმიანი ხელმძღვანელი სჭირდება, რომელიც საქმის კეთებას გაიხდის მიზნად და რომლის დეფიციტი (ხელოვნურად შექმნილი) ასე ღუპავს საქართველოს.

გუშინწინ ჩამოვიდნენ თბილისში მანაველი გლეხები. გაგონილა, ხალხნო, სოფელში გლეხი ზედმეტი ადამიანი გახდა. ყველაფერი თვითონ აიღეს ხელში, აღარავის არაფერს აძლევენო. თავისი უშუალო კაცური გაგებით მაინც ვერ გაუმეტებიათ და კონკრეტული გვარები არ მიუთითებიათ იმ ხალხისა, ვინც მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

„თქვენ მაინც რას მოითხოვთ, რა გინდათ?" კითხვა დაუზუსტა კორესპონდენტმა. „მიწა გვინდა", მოკლედ მოჰფინა ნათელი საკითხს ერთმა გლეხმა. იქიდან მეორე ირონიულად შეეპასუხა: „რა მიწაი ითხოვ, ორ მეტრაი რომ მოგიზომავენ გორაზე, მიწაც ის იქნება".

მოკლედ, მათი ნათქვამით, რაიონში არის მაფიოზური მმართველი ნათესაური კლანი, რომლის ბოლო სოფელში მეურნეობის დირექტორ ოქროცმელიძის სახით არის. თავი კი თავად ლეგენდარული მედეა მეზვრიშვილი ყოფილა. ამ მტკიცე კაცშირს კიდევ უფრო ამყარებს ჯუსო მეზვრიშვილი. სოფელში ჯერ მიწების გაცემა დაუგვიანებიათ, „უპატრონო" მიწებზე დირექტორს ხორბალი დაუთესია, აუღია კიდეც და სულაც არ ელოდება „ლატარია ყველასათვის" წამყვანის შეკითხვას, „ამდენი ფულით რის ყიდვას აპირებთო?" მათ ნათესაურ გენეალოგიურ სქემას არ მოვიყვანთ, დავინდობთ თქვენს მოთმინებას. თანაც სქემა საკმაოდ პრიმიტიულია. ამიტომ ჯობია ის ვთქვათ, რაც მომხდარა.

ტექნიკის პრივატიზაცია არ მოუხდენია. ტრაქტორები გადაუმალავს და კიდევ მრავალი ღირსშესანიშნავი ღონისძიება ჩაუტარებია. გლეხები მასთან რომ მიდიან, ეუბნება: ეს ყველაფერი ჩემიაო. შემდეგ უფრო მაღლა მიდიან, მედეამდე რა თქმა უნდა, ის კიდევ ისევ დირექტორს უჭერს მხარს. ამჯერად ყველაზე მაღლა ამოვიდნენ, სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან შეიკრიბნენ. განა პირველად მოვდივართო, კაცო, ეს უკვე მესამეა, ჩამოვალთ, მოგვეფერებიან, გაგვისტუმრებენ, „ხვალვე ჩამოვალთ, ყველაფერს გავარკვევთ", დაგვაიმედებენ და მერე ყველაფერი ხელახლა იწყებაო".

მანავი გამონაკლისი არ გეგონოთ. ასეთი მოვლენები ტიპიურია საქართველოს ნებისმიერი რაიონის თუ სოფლისათვის, მეტნაკლები მსგავსებით და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ახლახანს გვქონდა საუბარი ახალგორის პრობლემებზე, როდესაც ბატონი ნნათაძე მიმართავდა სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომ მაფიური სტრუქტურების გბატონების, მწარმოებლის დაჩაგვრის გზა, სოფლის დაცლის და საქართველოსთვის ძირის გამოთრის გზაა. არანაკლებ დაძაბული და, მეტყოდი, ფეთქებადი . სიტუაციაა წალკა-მანგლისის მხარეს, კასპის რაიონში და კიდევ მრავალგან.

გლეხს, რომელსაც ისედაც თავზესაყრელად აქვს საქმე, ათასგვარ დოკუმენტებს, ცნობებს სთხოვენ, ვადებს უწესებენ, უმისამართოდ ახდევინებენ მოგონილ გადასახადებს. მერე, რაც ეკუთვნის, იმასაც აკლებენ.

განმკითხავი კი არავინ არის!..

პაატა მანძულაშვილი

სპირტთან დაკავშირებით მდგომარეობა უცვლელია

ჩრდილო-კავკასიის განსაკუთრებული სასაზღვრო ოლქის ხელმძღვანელობიდან „იფრინდა"-სათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ტერიტორიით სპირტის ტრანზიტთან დაკავშირებით, საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდგომარეობა უცვლელია. სპირტით დატვირთულ ა/მანქანებს უწინდებურად არ ატარებენ.

წყაროს თქმით, 25 სექტემბერს აღკვეთილ იქნა კონტრაბანდული სპირტის გადატანის მცდელობა ზემოზარამაგის საზღვრის მონაკვეთზე. სატრანსპორტო სახსრების შემმოწმებელმა მესაზღვრეთა ჯგუფმა ავტომანქანა უაზ-469-ში აღმოაჩინა სპირტით შენიღბული კასრები. მძღოლი დაჯარიმდა 5 თვის მინიმალური ხელფასით. (იფრინდა)

ოფიციალური გროზნო არ მიიღებს მონაწილეობას აფხაზეთში დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებში

როგორც „იფრინდა"-ს კორესპონდენტს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას მთავრობაში აცნობეს, ვარძინბას ხელისუფლებამ, ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის, შამილ ბასაევის, ახმედ ზაკაევის და მოვლადი უდუგოვის სახელზე გაგზავნა ოფიციალური მიწვევა სოხუმის აღების მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

თუმცა, როგორც „იფრინდა"-ს კორესპონდენტისათვის „ჩეჩენ-პრესიდან" გახდა ცნობილი, ოფიციალური გროზნოს არცერთი წარმომადგენელი არ მიიღებს მონაწილეობას აფხაზეთში დაგეგმილ ღონისძიებებში. (იფრინდა)

10000 ოსს საქართველოში დააბრუნებენ?

„მე ქართულ-ოსური კონფლიქტის, მათ შორის სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის ეტაპობრივი გადაწყვეტის მომხრე ვარ", - განაცხადა ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუდვიგ ჩიბიროვმა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის პლენარული სხდომის გახსნაზე. სხდომა ჯავის რაიონში, „მზიგომის" სამთავრობო რეზიდენციაში მიმდინარეობს.

შერეული საკონტროლო კომისიის რიგით მერვე სხდომაზე განიხილება კონფლიქტის დროს დაზარალებული რეგიონის ეკონომიკური აღორძინების, სამშვიდობო ძალების ფუნქციების სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის გადაცემისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხები.

რეგიონის ეკონომიკური აღორძინების საკითხებზე საუბრისას ქართული მხარის დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულმა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში ირაკლი მაჭავარიანმა თქვა, რომ კონფლიქტის შედეგად დაინგრა როგორც ცხინვალის, ასევე მის რაიონში არსებული ქართული სოფლების ეკონომიკაც და შესაბამისად, სპეციალურად გამოყოფილი თანხები უნდა გადანაწილდეს როგორც ოსებით, ასევე ქართველებით დასახლებულ რაიონებზე.

რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მიხეილ მაიოროვი რუსეთის ხელისუფლების დიდ მიღწევად მიიჩნევს მსგავსი მოლაპარაკებების მიმდინარეობას. მისი აზრით, კომისიის სხდომაზე განსახილველად წარდგენილი სამივე საკითხი დადებითად გადაწყდება.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა იური იურომვმა ქართული მხარისაგან მოითხოვა საომარი მოქმედებების დროს „მხედრიონისა" და „თეთრი არწივის" ბატალიონის წევრების მიერ დატაცებული რუსეთის სამშვიდობო ძალების კუთვნილი საბრძოლო იარაღის დაბრუნება. ქართული მხარის თქმით, უშიშროების სამინისტროს არქივი დამწვარია და პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნული ფაქტის შესახებ მასალების მოძიება, თუმცა, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნია სამშვიდობო ძალების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ლტოლვილების დაბრუნებასთან დაკავშირებით ირაკლი მაჭავარიანმა სხდომაზე თქვა, რომ პირველ ეტაპზე ჩრდილოეთ ოსეთიდან 10000 ოსი ეროვნების ლტოლვილი უნდა დაბრუნდეს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, რომელთაგან ოთხი ოჯახი უკვე დაუბრუნდა საკუთარ კერას. (პრაიმ-ნიუსი)

კალეიდოსკოპი

ნარკოტიკები და მისი კონტრაბანდის ხერხები

გამოვლინდა ნარკოტიკების კონტრაბანდის კიდევ მრავალი, წარმოუდგენელი ხერხი; ასე მაგ.: მკვდარი კნუტებისა და მოკლული ჯარისკაცების ცხედრებით, კბილების პროთეზით, ქალის თმაზე წასმით, საფოსტო ღია ბარათზე განფენით, ზოგიერთ სხვა ნივთიერებებში გახსნის გზით და ა.შ.

ნარკოტიკებისაგან დამზადებული საგნები

კონტრაბანდისტებმა, ამ ბოლო წლებში, კიდევ ერთი ისეთი ახალი მეთოდი გამოიგონეს, კაცს აზრადაც რომ ვერ მოუვა. ეს მეთოდი გულისხმობს ფხვიერი კოკაინით, პლასტიკური და ნაძვის ფიჭის ნაერთით შეზავებული მასისაგან დამზადებულ საბაზანო ჭურჭელს ან უნიტაზს. მას შემდეგ, რაც ამ საგნებს ადგილზე ჩაიტანენ, ნაძვის ფიჭას ქიმიური საშუალებებით განაცალკევებენ, მოაცილებენ და ხელთ რჩებათ კვლავ კოკაინი.

საფოსტო ბარათები დიდი გულისყურით შუაზე იყოფა, შიგ ჰეროინს ათავსებენ და კვლავ ერთმანეთზე აწებებენ. ესეც ახალ მეთოდთაგან ერთი მრავალთაგანია.

აქლემები და ხარების რქები

თურქეთის გამომცემლობამ „საბაჰ ქითაფლარიმ“ გამოსცა მარტინ ბუთის (**Martin Booth**) წიგნი. სახელწოდებით: „ჰაშჰაშიდან ჰეროინამდე“, სადაც ავტორი მოგვითხრობს, რომ ნარკოტიკების შესახებ წერილობით ცნობებს ექვსი ათასი წლის ისტორია აქვს.

მარტინ ბუთი ჰონკონგისა და შორეული აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტია; იგი წერს და მზის სინათლეზე გამოაქვს ნარკოტიკების კონტრაბანდათა ის გზები, რომელსაც ადამიანის გონება ვერც კი მისწვდება, ვერც კი დაუშვებს.

1970 წელს სირია-თურქეთის საზღვარზე ნარკოტიკული კონტრაბანდის დროს გაირკვა, რომ კონტრაბანდისტები ნარკოტიკულ ნივთიერებებს მეტალის ცილინდრებში ათავსებდნენ, აქლემებს აყლაპებდნენ და საზღვარზე ისე გადაჰქონდათ.

ჰონკონგიდან ჩრდილოეთ ამერიკაში შეყვანილ მსვილფეხა საქონელს რქებს ახერხავდნენ, ამოღრუტავდნენ და შიგ ოპიუმს ათავსებდნენ, ამ რქებს კი შემდეგ ცხოველებს ისევ თავ-თავის ადგილზე უმაგრებდნენ.

ნოხები, კნუტებისა და ჯარისკაცთა ცხედრები

ირანელი მეხალიჩე ხალიჩებს ჰეროინს აყრიდა და ასე აგზავნიდა. საქონლის მიმღები კი ელექტრონული ცოცხით (მტვერსასრუტი) ამ ნარკოტიკს აგროვებდა.

ერთი ჩინელი ქალი კატითა და კატის ხუთი კნუტით მგზავრობდა. მეთვალყურეებმა ეჭვი შეიტანეს და თვალთვალი დაუწყეს. მათ შეამჩნიეს, რომ დედა – კატა სუფთა იყო, ხოლო კნუტები უსუფთაო და უსიცოცხლო. გაირკვა, რომ კნუტები დამხრჩვალები, გამოშიგნულნი იყვნენ, შიდა ორგანოების ნაცვლად მათ ოპიუმით ჰქონდათ ამოვსებული. მუცლის ღრუ და დედა – კატის გვერდით იყვნენ მიწყობილები. ერთხელაც, როდესაც დედა – კატას დიდის სიფრთხილით, პირით გადაჰყავდა თავისი კნუტი, გაირკვა მიზანი, რისთვისაც იგი ჰყავდათ გამოყენებული.

ვიეტნამის ომის დროს ჰეროინი მკვდარი ჯარისკაცების ცხედრებით გაიტაცეს. ჰეროინი ცხედრების ღრმა ჭრილობებში იყო ჩამალული.

სხეულით ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადატანის მეთოდები

ბევრი პირი იქნა დაკავებული, რომლებიც ნარკოტიკების საკუთარი სხეულით გატანას ლამობდნენ. გაირკვა, რომ ზოგჯერ ფეხმძიმე ქალები მუცლებით ნაყოფს კი არა, ჰეროინის პაკეტებს დაატარებდნენ. ერთხელ კი დააკავეს ერთი კონტრაბანდისტი, რომელსაც კბილის პროთეზში ჩამალული ჰქონდა პატარა პაკეტი.

გაირკვა აგრეთვე, რომ ზოგიერთ ხანშიშესულ მგზავრს ჰეროინი შეჭაღარავებულ თმებზე ჰქონდა წასმული; როცა დანიშნულების ადგილს მიაღწევდა, თავს იბანდა და თმებიდან ნარკოტიკს ჩამოირეცხდა.

1992 წელს ბოგოტაში დააკავეს კოლუმბიელი ქალი, რომელსაც ბარძაყებზე ქირურგიული ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და იქ აღმოაჩნდა 16 ცალი დაბეჭდილი პლასტიკური პაკეტი, რომელშიც ჰეროინი ჰქონდა ჩადებული.

თურქული გაზეთი Ates- ი. 25.V.97 წ.

რას არ გაიგებ

ფიდელ კასტროს მეამბოხე გოგო

კარაკასი. კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს გოგო – ალინა ფერნანდესი.

„ფიდელ კასტროს მეამბოხე გოგონას მოგონებანი“ – ამ სახელწოდებით გამოსული წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, ალინას არ დარჩენია ქვეყანა, რომ არ ემოგზაუროს. 41 წლის ფერნანდესმა ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ როცა კუბის ეკონომიკამ დაცემა იწყო ანუ 1993 წელს, ყალბი პასპორტით ესპანეთში გადაიხვეწა და ამ ქვეყანას შეაფარა თავი, შემდეგ შეერთებულ შტატებში გადავიდა. მეამბოხე გოგო ალინა ამჟამად ნიუიორკის შტატში ცხოვრობს.

ავსტრალიაში იარაღი აკრძალულია

სიდნეი. ავსტრალიაში მოსახლეობა განიარაღდა. „სამოქალაქო განიარაღება“, ასე იქნება დახასიათებული ეს პროექტი, რომელიც მოიცავს საკითხს იმის თაობაზე, რომ იარაღის პატრონებს საერთო ჯამში გადაუხდიან 108 მილიონ ამერიკულ დოლარს. ამან შედეგი გამოიღო და შეგროვებულ იქნა 470 ათასი ერთეული.

1996 წლის აპრილში პორტარტურში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა, რომელმაც 35 კაცის სიცოცხლე შეიწირა, განაპირობა ის, რომ იქ გამართულ დებატებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სამოქალაქო განიარაღების“ შესახებ. მოსახლეობაში შეგროვდა იარაღი, რომელიც გამოსაყენებლად უვარგისი გახადეს და ეს კამპანია ასე დასრულდა. როცა ამ ღონისძიებას ატარებდნენ, უპირველეს ყოვლისა, იარაღთა გროვა სატვირთო მანქანებზე დატვირთეს და ქალაქგარეთ ერთ დიდ მონაკვეთზე დაახვავეს. აქ თავმოყრილი გაფუჭებული იარაღი შემდგომში რკინის დამქუცმაცებელებთან ერთად სულ პატარა ნამსხვრევებად აქციეს.

105 წლის ტყუპები

ტოკიო. ამ დღეებში იაპონიაში 105 წელი იდღესასწაულეს „ხნოვანმა, მაგრამ მხიარულმა ტყუპმა დებმა“. დები, სახელად **Kin Narita** და **Gin Kanie** აცხადებენ, რომ გადადგეს რა ფეხი მომდევნო წლოვანებაში, მათ ახალი, დიდი პარტია ჩამოაყალიბეს. ტყუპები, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქ ნაგოიაში, ძალზე მოძრავნი არიან და მოუსვენარ ცხოვრებას ეწევიან. ისინი დიდ ზრუნვას იჩენენ იმის გამო, რომ ხელიდან არ გაუშვან როგორც სოციალური, ასევე ყოველდღიური გასართობი მიზანმიმართული ქმედებანი. მათი დაბადების ნაღდი დღე კი 1 აგვისტოა და მას ტყუპები შესაფერისად გაღაიხდიან.



ელცინი კორუფციის წინააღმდეგ

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი ქვეყნის მოსახლეობისადმი რუსეთის რადიოთი ხუთშაბათის ტრადიციული რადიომიმართვით გამოვიდა. მისი ინტერვიუ ძირითად ხელისუფლების ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლის პროცესს ეხებოდა.

ელცინის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელების პატაკში ნათქვამია, რომ ამჟამად მოწმდება ხელისუფლების ორგანოების 2500 წარმომადგენელი, რომლებიც კორუფციაში არიან ეჭვმიტანილნი. ძიებასა და ცხელშიც კი იმყოფებიან ფედერაციის სუბიექტების უმაღლესი ჩინოვნიკები, რომლებიც თვითონ უნდა იცავდნენ კანონიერებას. ახლახანს სამხედრო პროკურატურამ დასრულა 8 გენერლისა და ადმირალის საქმეების გამოძიება, რომლებიც უძრავი ქონებით მანიპულირებაში ამხილეს. პრეზიდენტის განცხადებით, დადგა დრო, როცა აუცილებელი გახდა უკანონობის დამბადებელი მიზეზების ლიკვიდაცია. (გეა)

პალესტინაში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო

პალესტინის ხელისუფლებამ ღაზას სექტორსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ექსტრემისტული ორგანიზაცია „ჰამაზის“ წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაცია დაიწყო.

პალესტინის პოლიციამ დააპატიმრა „ჰამაზის“ ათეულობით აქტივისტი, მათ შორის ამ ორგანიზაციის რამდენიმე ლიდერიც. პალესტინის მთავრობამ დროებით შეწყვიტა 16 ისეთი ორგანიზაციის ფუნქციონირება, რომლებიც „ჰამაზს“ თანაუგრძნობდნენ. ხელისუფლების ამ ნაბიჯების კომენტირებისას პალესტინის ავტონომიის ლიდერის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი პალესტინელი ხალხის უზენაესი ინტერესების დაცვისკენაა მიმართული. (გეა)

ჟურნალისტების გამტაცებლებს განაჩენს შარიათის სასამართლო გამოუტანს

ბრუნეიში ჟურნალისტების გატაცებასთან დაკავშირებული პირველი სასამართლო პროცესი უახლოეს დღეებში გაიმართება. სპეციალურმა ოპერატიულმა საგამოძიებო ჯგუფმა ჩრდილეთის შარიათის სასამართლოს იმ სამი დამნაშავის საქმე გადასცა, რომელთაც გამოსასყიდის მიღების მიზნით ჩელიაბინსკის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტების ანატოლი უტრობინისა და ოლგა ბაგაუტდინოვას მძევლად აყვანაში ადანაშაულებენ.

ჟურნალისტები მიმდინარე წლის მარტში გაიტაცეს. უტრობინმა ტყვეობიდან გაქცევა შესძლო და ჩრდილეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი კოლეგის ადგილსამყოფელი აცნობა. სამინისტროს ოპერატიულმა ჯგუფმა დამნაშავეთა დაპატიმრების სპეციალური ოპერაცია განახორციელა, რომლის შედეგადაც დააკავეს ორი დამნაშავე და ჟურნალისტი ბაგაუტდინოვაც გაათავისუფლეს. გამოძიებამ დადგინა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფი 10 კაცისაგან შედგებოდა. საგამოძიებო ბრიგადის ხელმძღვანელის, მაგომად მაგომადოვის თქმით, მათი ვინაობა ცნობილია და გამოცხადებულია ძებნა.

როგორც ცნობილია, ჩრდილეთის პრეზიდენტის განკარგულებით, ადამიანების გატაცებისათვის გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა. (გეა)

ერეკვნული ბიბლიოთეკა

დაიხურა 18 გაზეთი

იორდანიის ინფორმაციის სამინისტროს განკარგულებით, დაიხურა 18 ადგილობრივი გაზეთი. ძირითადად ყოველკვირეული პოლიტიკური გამოშვებები, რომლებსაც ლიცენზიებიც ჩამოერთვათ.

აღნიშნულის ფორმალური საბაბი გახდა ის, რომ იორდანიის კანონების მიხედვით, ნებისმიერი გაზეთის ძირითადი კაპიტალი არ უნდა იყოს 450 ათას დოლარზე ნაკლები, მაგრამ იორდანიის გაზეთების უმრავლესობას, რომლებიც მთავრობის სუბსიდიებით არ სარგებლობენ, ასეთი თანხები არ გააჩნიათ.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა დახურული გაზეთი იორდანიის ხელისუფლების მიერ ისრაელთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებისა და ამ ორ სახელმწიფოს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების წინააღმდეგ მუდმივ კამპანიას აწარმოებდნენ. ქვეყნის ზოგიერთი პოლიტიკური პარტია გაზეთების დახურვის წინააღმდეგ გამოვიდა. ამ პარტიების ლიდერთა განცხადებით, ხელისუფლების ასეთი მოქმედებები ნომბრისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ ანტიდემოკრატიულ ვითარებას ქმნის. (ბეა)

რუსეთი კატეგორიულად უარყოფს

რუსეთი კატეგორიულად უარყოფს აშშ-ის მიერ წაყენებულ ბრალდებას რუსეთის მიერ ირანისათვის სტრატეგიული რაკეტების მიყიდვის შესახებ, – განაცხადა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კრემლში საფრანგეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ელცინის თქმით, რუსმა და ამერიკელმა ექსპერტებმა, რომლებიც ამ პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალურ მოხსენებას ამზადებენ, აშშ-ის ბრალდებების დამადასტურებელი საბუთები ვერ აღმოაჩინეს. პრეზიდენტმა არ გამორიცხა, რომ რუსეთმა ირანს შეიარაღებების რომელიმე სახეობა მიაწოდოს კიდეც, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება სტრატეგიული რაკეტები, იარაღისათვის წარმოებისათვის ვარგისი ურანი ან ბირთვული ტექნოლოგია. (გეა)

ყველაფერს აკეთებენ ჟურნალისტების გათავისუფლებისათვის

ბორის ელცინი ძალისხმევას არ დაიშურებს ჩრდილოეთ კავკასიაში მძევლად აყვანილი 5 ფრანგი და გერმანელი ჟურნალისტის გასათავისუფლებლად, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მოსკოვში ვიზიტის დროს.

მისი თქმით, მძევლების გათავისუფლების საკითხი მოლაპარაკებების დღის წესრიგში თვით ბორის ელცინმა დააყენა. შირაკმა დასძინა, რომ თავის რუს კოლეგასთან ერთად ყველაფერს გააკეთებს ჟურნალისტების გათავისუფლებისათვის. (ბეა)

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

დავით კლდიაშვილი

„სამანიშვილის დედინაცვალი“

ნოდარ გრიგალაშვილი

დავით კლდიაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების შესახებ დიდებული მემუარები დაგვიტოვა, საკუთრივ ნაწარმოებთან დაკავშირებით მხოლოდ თითო-ოროლა მწირი ფრაზა გაიმეტა, ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მართალია, ვრცლად არც ამ მშვენიერი თხზულების შექმნის შესახებ მსჯელობს, მაგრამ მრავალმხრივ საყურადღებოა ის ჩანაწერიც, რომელსაც აქ წარმოვადგენთ.

„ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ – იგონებდა მწერალი – ხლვის პირას ვზივართ. ვოლსკიმ თქვა, – ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო. დავეთანხმე, გამოვდივართ ბულვარიდან. გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ: ვოლსკი რაღაცას მეუბნება – მე არ მესმის. უცებ ჩემ თვალწინ თითქო ჩამოფარებული ფარდა გადიწია და ჩემი მოთხრობა, თავიდან ბოლომდე, ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი...

– მე არ მოვდივარ, გრიშა! – ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც იმხანად ვიყავი.

– რა იყო, რა მოგივიდა? – მეკითხება გაკვირვებული ვოლსკი. მე კი აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ, მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდები და გატაცებით დავწყე წერა, გაცხარებული.

ეს მუშაობა კი არა, იყო უმაღლესი სიამოვნება.

ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“. ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობით. კონდრატი მხეიძე, ალექსანდრე შატილოვი და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთაც ვუყვებოდი ყოველი განხრახული მოთხრობის შინაარსს, სურათებს, წვრილმანებს. განსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

– აბა, მოეკვეი! – და მეც მოვყვებოდი. მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა, მუშავდებოდა იოლად, ხალისიანად.

„მოამბეს“ რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა. ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდე პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია“ – პლატონის სიზმარი. ვუბრალო ჩხეიძეს: როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი?“ – ნუ სულელობ! – შემომიტია მან. – შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება: არ გაგზავნო იცოდე!

დავუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგივრად დაიწერა მოზრდილი მოთხრობა. კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან – პავლე მაჭავარიანთან. ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი. კარგი შეძლების კაცი, გამოცდილი, შეგნებული, ცხოვრებაში ჩახედული, ჭკვიანი, ენამახვილი. იგი საყვარელი ადამიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრებით: მოხუცი, ახალგაზრდა, ყმაწვილობა თავს იყრიდნენ მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი (გაიხსენეთ ჯიმშერ სალობერძის ოჯახის აღწერა „სამანიშვილის დედინაცვლიდან“. ნგ.). მიყვარდა აქ ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი. მიყვარდა და მაინტერესებდა მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნა.

აქ შემეწყო ხელი ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში.

– ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგეწერა: მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პავლე მაჭავარიანის! – ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.

მოთხრობამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია „მოამბეს“ რედაქციაშიც. ჭყონიამ ვრცელი წერილი გამოგზავნა, განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევით, დარიგებით სავსე. ბედს ვერ დავუმდურები – ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ.

როცა „სამანიშვილის დედინაცვლის“ ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში: მასთან იყო არტურ ლაისტი.

– მე შენ ხმას არ გაგცემ! – შემომიტია პეტრემ. – რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ხარმაცი, ამჩატებული, უხეირო ყოფილხარ.

– რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? – შევკითხე.

– რატომ და მიტომ, – ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა! გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში – რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვე დედინაცვალი.

– არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

– გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ხარმაცო, ხარმაცო დათიკო! თან წყრებოდა, თან ხითხითებდა გულიანად. – შენი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილი“.

ეს არის ყველაფერი ის, რაც თვით დავითის ნაწერებში შეიძლება მოიძიოთ „სამანიშვილის დედინაცვალის“ შესახებ.

დაკვირვებული თვალი აღნიშნულ მოგონებაში ბევრ რასმე საგულისხმოს ამოიკითხავს.

ჩანს, როგორ წერდა დავითი, როგორი იყო მისი შემოქმედებითი ლაბორატორია. „თითქოს ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდე ერთ წუთში გადამეშალა“. მწერალი თანამონაწილეა, ცოცხალ სურათებად წარმოიდგენს ყველა იმ სიუჟეტს, რომელსაც ნაწარმოებში განავითარებს. უხილავად ასდევნებია ბეხრეკ და ხურგაადატყაულ ცხენზე ამხედრებულ სახეჩამოზეთილ პლატონ სამანიშვილს. არ ჩანს არსად და იგრძნობა ყველგან. ამიტომ არის, ვერსად, ვერც ერთ სიუჟეტში, ვერც ერთ დიალოგში ვერ იპოვით ყალბ, არაბუნებრივ ფრაზას, ამბის არამოტივირებულ განვითარებას. დავით კლდიაშვილის დიდი მწერლობის საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, მის ბუნებრიობაშია. მის ხელოვნებაში არაფერია ხელოვნური. დავითი ვირტუოზულად დააბიჯებს იმ ბეწვის ხიდზე, რომელიც ნატურალიზმსა და რომანტიზმს შორის პარნასიდან ჩამოუშვიათ მუზებს – ხელოვნების ქალღმერთებს.

მოგზაურობა რომ მხატვრული ხერხია, იმერეთის ოკრო-ბოკრო გზებზე სადედინაცვლოს საპოვნელად გამოსული პლატონის ხეტიალი რომ ბრწყინვალე მოგნებაა მწერლისათვის მხატვრული ამოცანის ხორცშესასხმელად, ეს თხზულების წაკითხვისთანავე შეუმჩნევია პეტრე უმიკაშვილს, მაგრამ დახეთ, რა საინტერესო პასუხს იძლევა დავითი მეგობრის საყვედურზე – გადმოვიყვანდი პლატონს ქართლში, კახეთში, რა საინტერესო სურათები იქნებოდა, იმერეთში რად მოანახინე სადედინაცვლო.

დავით კლდიაშვილი ამბობს – არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

ხედავთ, როგორ მოთხოვნას უყენებს მწერალი საკუთარ თავს. ნიუანსებში, ძირისძირობამდე. თვალით უნდა ხედავდე, გუმანით, ყნოსვით, ტანით უნდა გრძნობდე იმას, რაზეც წერ. ფლობერივით დარიშხანის გემო უნდა იგრძნო პირში, როცა მადამ ბოვარს „წამლავ“. ცვიფრივით გულის გასკდომამდე უნდა გიყვარდეს, როცა უცნობ შეყვარებულ ქალს წერილს დააწერინებ, გრძნობებს ისევე ბუნებრივად უნდა ამოჭყენენ ის ერთადერთი და კონტექსტისათვის შეუცვლელი სიტყვები, როგორც ბუნებრივად სწყდებიან ცაზე ამოგორებულ ცხელ დისკოს სხივები.

ასე ხდება კლდიაშვილის შემოქმედებაში.

ვინ იცის, პავლე მაჭავარიანმა რამდენ სტუმარს მოუთხრო ბერწი სადედინაცვლოს საძებნელად სოფელ-სოფელ მოხეტიალე პლატონ სამანიშვილის სიუჟეტი, ისე როგორც პუშკინს, ვინ უწყის, გოგოლის გარდა, რამდენი მეგობარი უხითხითებია ჩიჩიკოვის გაუგონარი მოგზაურობით, მკვდარი სულების საყიდლად მეძებარი ძალღვით ენაგადმოგდებული რომ დაქოშინობდა ერთი თავადის სამფლობელოდან მეორე, მეათე და მეასე თავადის სასახლისაკენ. მაგრამ თავისთავად ამბავი, თუნდაც საკვირველი მწერლობისათვის, არაფერს ნიშნავს. ყველაფერს ნიშნავს საკვირველი ნიჭი, თხრობის, სურათების ცოცხლად ხატვის და რაც მთავარია, ამბის განზოგადების იშვიათი უნარი, რომლითაც ლიტერატურის ისტორიას სამუდამოდ შერჩა მაინცდამაინც გოგოლის სახელი, რომელსაც „მკვდარი სულების“ ფაბულა პუშკინმა უამბო და სახელი დავით კლდიაშვილისა, რომლის გარდა, ვიმეორებთ, მის მიერ გადმოცემულ ამბებს იმერეთში მოყოლით, ალბათ, სხვაც ბევრი ვინმე მოგიყვებოდათ.

აქედან გამომდინარე, რაკი ნაწარმოების განხილვა განვიზრახეთ, ლიტერატურის მასწავლებელმა და ლიტერატურის შემსწავლელებმა ერთად დავსვათ კითხვა და ერთმანეთს გავუზიაროთ ფიქრი იმ ამოცანის ამოსახსნელად, თუ რაში დევს ნაწარმოების წარმატების საიდუმლო.

ჩვენ არ გაგვიჭირდება მოვძებნოთ თემა ან თემები, ანუ ამოვიკითხოთ ის შინაარსი, რაც ჩაფენილია „სამანიშვილის დედინაცვალში“. ჩვენ მწერლის სათქმელის მიხვედრასა და განზოგადებასაც მოვახერხებთ, არც ეს არის ძალიან ძნელი საქმე, რადგან თუ ოდნავ გონიერი მკითხველი ვერ მიხვდება, რა უნდა, რაზე წერს და რისთვის წერს შემოქმედი, ეს თითქმის ყოველთვის მწერლის პრობლემაა და არა მისი მკითხველისა (ბუნებრივია, ღმერთი ყველას ვერ აკოცებდა შუბლზე და ასეთი ვითომ მწერლებიც არსებობენ).

უმთავრესი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში არის არა „რა“, არამედ „როგორ“. უმთავრესია არა გრძნობა, განცდა, რომელიც ჩვენც გაგვაჩნია, უბრალო მოკვდავთ, არამედ იმ გრძნობათა, განცდათა და ამბავთა ისე გადმოცემა, როცა პერსონაჟთა ცხოვრების სრულფასებიანი წვერი ჩვენც ვხდებით თხზულების კითხვისას და იმდენად რეალისტურად, ჩვენეულად და ბუნებრივად გვეჩვენება მხატვრის მიერ შეთხზული სამყარო, რომ უნებლიედ წამოგვცდება: „ამას ხომ მეც დავწერდი“- ან უკეთეს შემთხვევაში ლიტერატურაში კარგად ჩახედული პროფესიონალი იტყვის: აი, ამას მე ვერ დავწერდი.

მწერლისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტოქე მკითხველის გაჩენა წარმატების დასტურია, უბედურება ის არის, როცა ამა თუ იმ მწერლის თხზულების კითხვისას ყალბი დიალოგებისა და არამოტივირებული, კაბინეტიდან წარმოდგენილი, თანაგანცდის გრძნობის გარეშე აღწერილი სიუჟეტების გადამკიდე მკითხველი იტყვის – ამას მე არ დავწერდი.

მაშ ასე, წარმოიდგინეთ, რომ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე არავისი აზრი არ გაქვთ მოსმენილი.

ჩვენ თავად უნდა განვსაზღვროთ, რა ქმნის იმ ესთეტიკური სიამოვნების საიდუმლოს, რაც „სამანიშვილის დედინაცვალის“ კითხვისას მოგვენიჭა.

ლიტერატურისმცოდნეობას, ისე როგორც, საზოგადოდ, ხელოვნებისმცოდნეობას, ცხადია, არ გააჩნია ის ზუსტი ბარომეტრი, რომლითაც მხატვრული აზროვნების რაობა შეფასდება. ამიტომ თითოეულ თქვენთაგანს შეგიძლიათ იპოვოთ ის საიდუმლო, რომლითაც მხატვრული თხზულების ახალ სამყაროს ეზიარებით. სულაც არ არის საჭირო მწერლის სამყაროს კარს ყველამ ერთნაირი გასაღები მოარგოს. ამ სამყაროში შესვლაც თავისებური შემოქმედებაა და იმდენივე ხლურბლი არსებობს იქ შესაბოჯებლად, რამდენი გონიერი მკითხველიც ჰყავს დიდ მწერალს.

დავარღვიოთ ტრადიცია და „სამანიშვილის დედინაცვლის“ განხილვა დავიწყოთ საკითხით – „როგორ“. როგორ გადმოსცემს მწერალი ამბავს, მოვლენას, საგანს, ხასიათს.

როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ყველაზე ძნელი ყოველთვის საქმის დაწყება, პირველი ხნულის გავლებაა. დავითს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ჩემთვის პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო. ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას“.

აბა, გავიხსენოთ, როგორ იწყება „ქამუშაძის გაჭირვება“.

„სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა“.

პირველივე ფრაზა დავით კლდიაშვილის განუმეორებელი სტილისტიკის დასტურია. აი, რატომ: შინაარსი ხომ ძალიან მარტივია ამ ფრაზისა, საშუალო ნიჭი, ვთქვათ, ასე გამოხატავდა – „აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლის თხოვის დრო დაუდგა“, რითაც, ერთი შეხედვით, არსებითად არაფერი იცვლება, მაგრამ საქმეც ის არის, რა სიტყვებით შეუდგება მწერალი თავისი ფიქრის ხორცშესხმას – იმას აქვს დიდი მნიშვნელობა. კლდიაშვილისეულ დასაწყისში მისთვის დამახასიათებელი ისეთი ირონიაა ჩაქსოვილი, ერთდროულად ემპირიულ, ხილულ სინამდვილესაც რომ გულისხმობს, ამ სინამდვილისადმი ირონიულ დამოკიდებულებასაც, ხოლო შემდგომი მოვლენების ჩვენებით თვით ამ სინამდვილის ტრაგი-კომიკურ არსს. ბევრია არა, ერთ ფრაზაზე ამდენი „ტვირთის აკიდება?“ დავუკვირდეთ: „სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა“...

აბა რა უნდა ექნაო, – პირველივე ფრაზით მწერალი თითქოს ირონიით ამართლებს ოტიას გადაწყვეტილებას, არც ერთი სიტყვა სიყვარულზე, ჭაბუკის გულის თრთოლვაზე, ქალის შეყვარებაზე თუ არა, მოწონებაზე მაინც. ასე ხომ ჭირნახულის აღების პროცესზეც შეიძლებოდა თქმულიყო: „სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა აზნაურ ოტია ქამუშაძეს მოსავალი აეღო“. საქმეც ის არის, რომ ოტიასთვის ცოლის თხოვნა მორიგი, აუცილებელი ყოფითი საკითხის გადაწყვეტაა (ფიქვთ, როგორც ჭირნახულის აუცილებლად აღებაა საჭირო) და არა და არა ადამიანის ცხოვრების გზაჯვარედინზე სიყვარულის ბედნიერად დაგვირგვინების აქტი. კლდიაშვილის კუჭგამხმარი გმირების ფიქრებში სიყვარულს არ გააჩნია თავისი წილი სამკვიდრო.

პირველივე ფრაზაში კიდევ ერთი სიტყვაა, ვერცერთი სხვა სიტყვით რომ ვერ შეცვლით. „საჭიროებაც მოითხოვდა“-ო. „სწორედ დროც იყო და გარემოებაც მოითხოვდა“ – რომ დაწერა ავტორს, რაღაც ძალიან დიდი ნიუანსი დაიკარგებოდა. კი, ბატონო, გარემოება მოითხოვდა ნიშნავს იმას, რომ ვითარება ხელს უწყობდა ჭაბუკს საქორწინოდ, ნიშნავს იმასაც, რომ მოხუცებული დედის ამარა დარჩენილ ოჯახს ახალგაზრდა ქალის ხელი სჭირდებოდა და და ა.შ. მაგრამ ეს სიტყვა „საჭიროება“, მოიცავს ყველაფერს ზემოთქმულს ერთი დამატებითი, ასევე ყოფითი, თან ირონიზირებული ნიუანსით – სოფელში გამოკეტილმა, ჯეელმა ოტიამ, ყანაში განუწყვეტლივ თოხის მობაყუნემ, ქალის საჭიროება იგრძნო...

ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობის სრულად ჩაკითხვის შემდეგ, მკითხველი რწმუნდება: საჭიროების მიხედვით კი, მაგრამ გარემოების გამო სწორედ დრო არ ყოფილა საწყალ ოტიას ცოლი ეთხოვა, ნაწარმოების დასაწყისი საერთოდ ტრაგი-კომიკურ ელფერს იძენს.

ასე რომ, კლდიაშვილის ჩანაწერი – „დიდხანს ვარჩევდი თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას“, – მხოლოდ თეორიული განაცხადი არ არის.

ასევე მრავლისმეტყველია „სამანიშვილის დედინაცვალის“ დასაწყისი, პირველივე სულ რაღაც 8 სიტყვიანი წინადადებაც.

„ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც“.

მწერალი თავისი პერსონაჟის სიღარიბეზე ხაზგასმას არ სჯერდება. მეორეჯერ აკეთებს აქცენტირებას – გვარიანი ღარიბიო – წერს და ეს აქცენტი თხზულების საერთო სტილისტიკაში, ბეკინას გაუთავებელი ტრაბახის ფონზე საკუთარ „სიმდიდრეს“ რომ აღუფრთოვანებია, თანდათანობით იძენს მხატვრულ ეფექტს.

მეორე გარემოებასაც მიაქციეთ ყურადღება „ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაური იყო“. ერთადერთი სიტყვა გამოვტოვე – „რასაკვირველია“. არადა, ეს უკვე აღარ არის კლდიაშვილისეული ფრაზა. ერთი სიტყვით – რასაკვირველია, – დავითი თხზულების დასაწყისშივე კავშირს აბამს თავის წინა, უკვე დაწერილ და მომდევნო, ჯერაც შესათხზავ ნაწარმოებებთან.

ჩვენ ხომ ადრეც ვთქვით, რომ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში ზოგადად ერთი ხალხი ჩანს ავანსცენაზე: შიმშილით, სიღატაკით გაწამებული ადამიანი, რომელსაც წართმეული აქვს მზისქვეშეთში ადამიანურად ცხოვრების უფლება და იბრძვის არსებობის უფლების შენარჩუნებისათვის, რომელიც მხოლოდ სახეს, სახელს და გადარჩენისათვის ბრძოლის ხერხებს იცვლის სხვადასხვა თხზულებებში. ამიტომ „ბეკინა სამანიშვილიც, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო“ ანუ მწერალი დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ წინა თხზულებებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ სამყაროში აღმოჩნდებით.

თუმცა მწერლის დიდი ნიჭის წყალობით უკვე ნაცნობი სამყარო ერთფეროვნების საშიშროების ნაცვლად, იმდენად ახლებური კუთხით, მოულოდნელი სიუჟეტებით წარმოჩინდება, თითქოს მწერალი საკუთარი შესაძლებლობების ამოუწურაობის აზარტით იყოს შეპყრობილი.

პლატონ სამანიშვილის საგა, ეს არის ტრაგი-კომედიის ბრწყინვალე ნიმუში. მივყვეთ მკითხველო, ბეხრეკ ცხენზე „ამხედრებულ“ (ესეც კლდიაშვილის სტილისტიკიდან არის), ბერწი სადედინაცვლოს მოსახილავად წასულ უბედურ პლატონ სამანიშვილს, მის უბედურებაზე რომ აგერ უკვე საუკუნეა იცინის ქართველი მკითხველი და ამ სიცილით ან ამ სიცილთან ერთად გული რომ ეკუმშება.

გაგრძელება იქნება

ჩინეთის მთავრობა ეხმარება საგარეო საქმეთა სამინისტროს

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის ცნობით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა დოღონაძემ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯან იუნჩიუენმა, გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს დოკუმენტს „საქართველოს მხარისათვის ტვირთების გადაცემის შესახებ".

როგორც „იფრინდა"-ს საგარეო უწყების პრეს-ცენტრში განუმარტეს, აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის 1 მლნ. იუანის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკის გადაცემას, რომლის თაობაზე ჯერ კიდევ ა.წ. 30 იანვარს მოეწერა ხელი შეთანხმებას საქართველოსა და ჩინეთის მთავრობებს შორის „ჩინეთის მიერ საქართველოსათვის უანგარო დახმარების გაწევის შესახებ" (იფრინდა)

შეხვედრა სამხედრო ძალების მთავარი შტაბის უფროსთან

„ნატო-ს ხელმძღვანელობა დადებითად აფასებს საქართველოს აქტიურ მონაწილეობას „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამის ძირითად ღონისძიებებში და განიხილავს საკითხს, მომავალ წელს თბილისში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ" - განაცხადა საქართველოში სტუმრად მყოფმა ნატო-ს სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა არნომ, გუშინ, სამხედრო ძალების მთავარი შტაბის უფროსთან, გენერალ-ლეიტენანტ ზურაბ მეფარიშვილთან შეხვედრაზე. აღინიშნა, რომ კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი თემა იქნება სამხედრო-საინჟინრო საქმიანობის გამოცდილების გაზიარება. იმსჯელეს ასევე განნაღმვისა და სხვადასხვა სარაკეტო საწვავის ნარჩენების უტილიზაციის პრობლემებზე. (იფრინდა)

გაიზრდება სახელმწიფოს წილი

საააქციო საზოგადოება „გერგეთის" აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში გაიზრდება სახელმწიფოს წილი, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახელმწიფო ქონების სამინისტროში.

დღეს სახელმწიფო „გერგეთის" აქციების 67 პროცენტს ფლობს. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში საბაგირო გზის ღირებულებაც შევა.

აქციონერთა კრებამ განიხილა ქართულ-ავსტრიულ საწარმოსთან „გუდაური" ხელშეკრულების გაგრძელების საკითხი და დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს. (პრაიმ-ნიუსი)

ბარბაროსობის სუნთქვა

ძალადობა და ცივილიზაციური ჭრაზი რუსეთში

ვლადიმირ კანტორი

ძალადობა ისტორიის კონტექსტში კლასიფიკაციის მცდელობა

ისტორიული პროცესის ყველაზე ზოგადი განხილვაც კი გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ ძალადობის სამი ტიპი, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე სხვები.

პირველი ტიპი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ *ბარბაროსულ-დამანგრეველი, ყაჩაღური*, არის ფაქტიურად ძირითადი. ყველა ტომმა გამოსცადა ბარბაროსული თავდასხმების ძალა. ასირიელები, ებრაელები, ქალდეველები, ბერძნები, დორიელები, რომაელები, გერმანელები, სლავები, ნორმანები და თურქები დაპყრობილი ხალხების ცივილიზაციას ითვისებდნენ და განაგრძობდნენ მათი კულტურის განვითარების გზას, უკვე თავისი წვლილის შეტანით. ისეთებსაც იცნობს ისტორია, რომლებიც დაბრმავებულნი გადაიალაშქრებდნენ, გაანადგურებდნენ ყველაფერს და გაუჩინარდებოდნენ, როგორც ჰუნები და ავარები.

ბარბაროსობის თემა ყოველთვის საინტერესო იყო რუსი მოაზროვნეებისათვის, რამეთუ მის სუნთქვას თითქმის ყოველდღე გრძნობდნენ. ძალზე ხანგრძლივი იყო რუსეთზე თათარ-მონღოლთა ბატონობა: XVI საუკუნის შუახანებშიც კი გადაუწვიათ მათ მოსკოვი. ჩერნიშევსკი, მაგალითად, ბარბაროსს განსაზღვრავს, როგორც „არსება, რომელიც საშუალოა გარეულ მხეცსა და მეტ-ნაკლებად განვითარებული აზროვნების მქონე ადამიანს შორის, თან იგი გარეულ მხეცთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე განვითარებულ ადამიანთან". ბარბაროსებისთვის დამახასიათებელი ენერგია მან ახსნა, როგორც „მომთაბარეთა ყაჩაღობისაკენ მიდრეკილება". ამავე დროს აღსანიშნავია ეჰბონის მოსაზრება, რომ როდესაც ბარბაროსები რომზე დაიძრნენ, მათ უკვე ჰქონდათ მოთხოვნილება ცივილიზებული ცხოვრების კომფორტისა.

ბარბაროსები არ არიან ველური ტომები, რომლებიც წმინდა ბუნებიდან მოდიან. აქვთ პრიმიტიული მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, და ამიტომაც - დიდი ცივილიზაციების ეპოქაში მათ სწორად შეაფასეს ცივილიზაციის მიღწევები, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ მისი საკუთარი ხელებით შექმნა. აქედან, მათთვის ცივილიზაციის ნაყოფის დაუფლების ერთადერთ გზას დაპყრობა წარმოადგენდა. ჩერნიშევსკიმ ასე გამოხატა ბარბაროსთა ბუნება: „რომაული პროვინციის დაპყრობის შემდეგ ტომის ყოველი წევრი იწყებს ყაჩაღობას, ძარცვავს და კლავს ყველას, ვინც წინ დაუგდება, თუნდაც თავისიანს". საკმარისია წაიკითხოთ „ფრანკთა ისტორია" და დაინახოთ ამ სიტყვების სიმართლე. ძველი ბერძნებიც კი, რომელთაც ჩვენ ევროპული ცივილიზაციის აკვანს ვუწოდებთ ხოლმე, ისტორიკოსების ცნობით, პირველ პერიოდში, როდესაც მათ დაანგრიეს კრეტა-მიკენის კულტურა, არ იცოდნენ, რა იყო დანაშაულისა და ცოდვის ცნებები.

როდესაც ხალხი ცივილიზაციის შენებას იწყებს, ბარბაროსობა მათი ცხოვრების ძირითად ფაქტორად რჩება მაინც. და იწყება ბრძოლა საკუთარ ველურ წარსულთან.

ძალადობის მეორე ტიპი შეიძლება მოვნათლოთ, როგორც *დამანგრეველი და აღმშენებელი*, წარსულის დაძლევა მომავლის შენების მიზნით. ეს არის აშკარა, დაუფარავი ძალადობის ფორმა, რომელიც თვითშემოსაზღვრისაკენ მიისწრაფვის მოლაპარაკებების, სასამართლოების, რაიმე სოციოკულტურული მექანიზმების გზით, რომლებიც ხელს უწყობენ სამართლებრივი სტრუქტურებისა და ცივილიზაციის სხვა ნორმების განვითარების პროცესს. ეს უპირველესად ევროპული ცივილიზაციისთვის არის დამახასიათებელი. ტრადიციული საზოგადოებების დაშლა და ყველას ყველასთან ომის (კლასობრივი, შიდაევროპული ომები) გზით - კანტის მიხედვით ძალადობით გადაილახება ძალადობა, დასავლეთის სამყარო მიდის მოლაპარაკებებით შექმნილი კავშირებისაკენ, რომელიც კონფლიქტებს სამართლის საშუალებით აწესრიგებს.

ცნობილი რუსი ისტორიკოსის თ.ნგრანოვკის აზრით, ბარბაროსულ ტომებს შორის „რელიგია იყო სახალხო, ნაციონალურობის პროდუქტი... აქედან ძველი ხალხების დაუძინებელი მტრობა არა მარტო ადამიანების გულისათვის, არამედ ღმერთების გულისათვისაც რომ ომობდნენ". მიუხედავად ათასგვარი განხეთქილებისა, დასავლეთის რელიგიამ შეინარჩუნა რაღაც საერთო, რომელშიც ყველა იმ ხალხს თავისი რაღაც წვლილი აქვს შეტანილი. ამიტომ არის, რომ გენეტიკურად და რელიგიურად დაკავშირებულ ორ ერს შორის წარმოებული ომი ყოველთვის მიდის იმ საერთო ღირებულებების გაცნობიერებისაკენ, რომლებიც მათ აკავშირებენ.

დაბოლოს, *ძალადობის მესამე ტიპი*, რომელიც უნდა განვსაზღვროთ, როგორც *პროვოკაციულ-დამცველობითი*. იგი აფერხებს საზოგადოების განვითარებას, აკონსერვებს, ტრადიციულობის იდეალებს ებღაუჭება და ყოველთვის ახდენს ძალადობის პროვოკაციას ან იმიტაციას, რათა შემდეგ იგი ზეძალადობით ჩაახშოს. ცხადია, აქ პროვოკაცია ნაგულისხმევია არა ფისკალურ-პოლიციური გაგებით, არამედ კულტურულ-გენეტიკური აზრით. ვთქვათ, პლატონისათვის ამგვარ პროვოკაციულ როლს თამაშობდა ბერძნულ პოლისებში მიმდინარე ძალადობა, რომელსაც ტირანიისკენ მიჰყავდა საზოგადოება და ბერძენი მოაზროვნეებისათვის წარმოადგენდა მიზეზს პროტოტოტალიტარული სახელმწიფოს გრანდიოზული მოდელის შექმნისათვის, რომელიც გამორიცხავდა სახელმწიფოსგან არარეგულირებული ძალადობის გამოყენებას (კ.პოპერი). საყოველთაო დაძალება ძველბერძენ მოაზროვნეს მიაჩნდა უსამართლო დემოკრატიულობების საწინააღმდეგოდ მიმართულ მთავარ არგუმენტად. საინტერესოა, რომ საკითხის ამგვარად დაყენების დროს ძალადობა იღებს თითქოსდა იძულებით ხასიათს, საზოგადოების შიდა ურთიერთობები იდეალიზირებულია და წარმოგვიდგება როგორც მშვიდობისმოყვარე ძალა. მაგალითად, სლავოფილები ამგვარად აფასებდნენ ძველ პატრიარქალურ ყოფას, სადაც ტირანი მებატონე პატრონად და მფარველად იყო მიჩნეული, მონა-მოხალისე მუშად და სიყვარულის ჯაჭვი აკავშირებდა მმართველებსა და ქვეშევრდომებს. გასაოცარია, რომ აშკარად ძალადობაზე დაფუძნებული მიმართება გასაღებულია როგორც მშვიდობიანი და ჰარმონიული. სწორედ ამაშია ძალადობის მოცემული ტიპის სპეციფიკა, საზოგადოებაში ცვლილების შეტანის ნებისმიერი ცდა დანაშაულად არის მიღებული. სამაგიეროდ, ზემდგომთა უკანონობა ღვთიურ ძალად არის მონათლული.

ძალადობის ბოლო ორი ტიპი სრულიად ხელშესახებ ისტორიულ როლს თამაშობს, ყოველ შემთხვევაში, მათი გამოყენებით მრავალი ძლევამოსილი სახელმწიფო აშენებულა, რომელთაც დიდი გავლენა (როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური) ჰქონდათ კაცობრიობის პროგრესზე. ისინი განსაზღვრავენ კულტურათა თავისებურებებს და მათი არსებობის საშუალებებს. მონტესკიე აღნიშნავს, რომ თავის დაპყრობით ომებს ევროპელები აწარმოებდნენ, როგორც თავისუფალი ადამიანები, ხოლო ჩრდილოეთ აზიის ხალხები იბრძოდნენ „როგორც მონები და იმარჯვებდნენ მხოლოდ თავისი ბატონისათვის".

ისტორიისათვის მაინც უფრო მესამე ტიპია დამახასიათებელი. მოსკოვის რუსეთიდან დაწყებული იგი იწელება ბოლშევიკურ-საბჭოთა პერიოდამდე. თუმცა, ძალადობის ეს ტიპის სხვა საზოგადოებებსაც ახასიათებდა (ვთქვათ, ბიზანტია, ოსმანთა იმპერია, ფაშისტური იტალია, ნაცისტური გერმანია).

გაგრძელება იძნება

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო" №93.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

ქვეყანაში თავდაცვითი დანიშნულების სამეცნიერო-სამრეწველო საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ იმსჯელეს საქართველოს პრეზიდენტის თავმჯდომარეობით გუშინ გამართულ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

განიხილეს ქვეყნის სეისმური დაცვის 1998-2005 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური გეოლოგიური კვლევების სახაზინო საწარმოს „სპეცგეო"-ს მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და რუსეთის ფედერაციიდან ცხინვალის რეგიონში 1993-97 წლებში მოწოდებული ელექტროენერგიის საგასურის ანაზღაურების მდგომარეობის საკითხები.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. (იფრინდა)

სახელმწიფო ქონების სამინისტრო ხელშეკრულებების გაუქმებას აპირებს გაღახლისუნარო საწარმოებთან

საქართველოს სახელმწიფო ქონების სამინისტრომ დარგობრივ სამინისტროებს შესთავაზა გააუქმოს ხელშეკრულებები იმ საწარმოებთან, რომლებიც არ ასრულებენ ხელშეკრულებების პირობებს სახელმწიფო ქონების იჯარაგამოსყიდვაზე. - აცნობა პრაიმ-ნიუსს ქონების მართვის სამინისტროს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს უფროსის მოადგილემ რამაზ ოქრუაშვილმა.

„დღეისათვის 11 მევალეს საწარმოს დავალიანება, რომლებთანაც, არსებული წესების თანახმად, უნდა გაუქმდეს ხელშეკრულებები, დაახლოებით 1 მილიონ ლარს შეადგენს. გამოსყიდულ ქონებაზე 10 პროცენტიანი გადასახადის გადაუხდელობის გამო დაჯარიმებას ექვემდებარება კიდევ 11 ობიექტი", - თქვა მან.

მისი თქმით, „მეწარმეთათვის ორივე ღონისძიება მომაკვდინებელია და დღევანდელ პირობებში ვერაფერს წყვეტენ. პრობლემა კიდევ ისაა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მეწარმეს უნდა დაუბრუნდეს ადრე გადახდილი თანხა, რაც ბიუჯეტის დღევანდელი მდგომარეობის პირობებში შეუძლებელია", - უთხრა პრაიმ-ნიუსს ოქრუაშვილმა.

ერთადერთი საწარმო, რომელმაც აღიარა თავი გადახდისუუნაროდ, ესაა სააქციო საზოგადოება „წნორის პურ-პროდუქტების კომბინატი". ოქრუაშვილის თქმით, „ყველაზე რეალური იქნება, რომ ასეთ საწარმოებში შევიდეს სახელმწიფო მოგების გარკვეული წილის მოთხოვნით".

„არსებულ პირობებში ეს, ალბათ, ერთადერთი და სწორი გამოსავალია", - მიაჩნია ოქრუაშვილს. (პრაიმ-ნიუსი)

იყიდეთ, იყიდეთ, რამე...

ბინები

იყიდება ოთხოთახიანი ბინა ცოტნე დადიანის №65-ში I კორპუსი, I სადარბაზო, მე-7 სართული (გადასასვლელ ხიდთან ახლოს). ტელ. 95-88-38

იყიდება ათოთახიანი კერძო ბინა, მეტრომშენის დასახლებაში, ბაქრაძის ქ.№6 საწყისი ფასი 25000$ ტელ. 72-25-30 ლია, 72-64-74 გია

იყიდება 1 ოთახიანი ბინა მეტრო „ბოცვერიძესთან" მაღალ ბელეტაჟზე, ტელეფონით, სარდაფით. ფასი 8000$ ტელ. 93-12-66

იყიდება მთაწმინდაზე 4 ოთახიანი, ტელეფონიანი ბინა სამსართულიანი სახლის III სართულზე. საწყისი ფასი 18000$ ტელ. 64-38-31; 63-00-78

იყიდება ოროთახიანი 39 კვ.მ კუთხის ბინა მეტრო „წერეთელთან" ექვსსართულიანი სახლის III სართულზე. ტელ. 35-18-67

სასწრაფოდ შევიძენ სამოთახიან არასტანდარტული პროექტის სუფთა ტელეფონიან ბინას, მაღალი სართულების გარდა, საბურთალოს ან დიღუბის ცენტრში. 35000$-ის ფარგლებში. ტელ. 96-76-47 ლია ან გარი

სასწრაფოდ იყიდება 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა საოფისედ 3X1 ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, აღმაშენებელზე, ფასი 13000$ ტელ. 96-75-47 ლია ან გარი

სასწრაფოდ გირავდება ერთოთახიანი იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ტელეფონით, სამი წლით ბორჯომში სანატორიუმ „ლიკანის" ტერიტორიაზე. ფასი 2,500$ საკონტაქტო ტელ. 34-35-89; 34-60-25 თინა

ვამზადებ

ვამზადებ აბიტურიენტებს და მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ. 74-22-90 ნინო

ვამზადებ მათემატიკაში სახლში მისვლით. საკონტაქტო ტელეფონი 99-02-03 იკითხეთ ნატო

ვამზადებ მოსწავლეებს ინგლისურში, ფასი 20 ლარი (დილმის მასივში). ტელ. 96-99-72 თამუნა, 51-40-04 ხათუნა

ნებისმიერი ასაკის მსურველს შევასწავლი სალაპარაკო ინგლისურ ენას. ტელ. 63-50-96

სხვადასხვა

იყიდება რუმინული ავეჯი „დესაო" და „ბორკა", ნახმარი მაცივარი „დნეპრი", ფერადი ტელევიზორი „ფოტონი 716" ტელ. 96-11-12 გიული

იყიდება საკასო აპარატი „სარფი". ახალი, ფასი 450 ლარი. ტელ. 33-34-77

იყიდება მელიის რუხი ფერის ქუდი და საყელო. ფასი შეთანხმებით. ტელ. 98-38-98

იყიდება ავეჯის ვიტრინა, ფასი 100 ლარი, მტვერსასრუტი „ურალი" ფასი 40 ლარი, ელექტროფორეზის აპარატი, ფასი 30 ლარი, ხმის გამაძლიერებელი ელექტრონიკა, ფასი 20 ლარი, სამედიცინო წიგნები ტელ. 72-40-57

იყიდება გერმანული აკორდეონი. ფასი 90 ლარი ტელ. 98-38-98

იყიდება ხის კარ-ფანჯარა ლოჯიისათვის. ფანჯარა 4 ცალი (1,25X90) კარები 1 ცალი, კომპლექტი. ფასი 350 ლარი. ტელ. 98-38-98

უანგარო ანგარებიან დროში

რთული სამედიცინო დასკვნით მოვხვდი ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მეორე ქირურგიულ განყოფილებაში. ქირურგიული ჩარევა აუცილებელი აღმოჩნდა. თითქმის ყველა ექიმი შეშფოთებული იყო ჩემი მდგომარეობით. კარგ შედეგს არავინ არ ელოდა. ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს ხელი მოჰკიდა განყოფილების გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ახალგაზრდა და გამოცდილმა ქირურგმა, ბატონმა ავთანდილ მეგრელაძემ. იგი კმაყოფილი იყო იმით, რომ პაციენტი გადაარჩინა და როგორც თვითონ აღნიშნა, ქირურგისთვის ერთი ასეთი ოპერაციაც კი საკმარისი იქნება, რომ ექიმმა თავი ვალმოხდილად ჩათვალოსო.

მოხდენილი იუმორი, სიყვარული და მოვალეობის გრძნობა უფრო აკეთილშობილებს მის პიროვნებას.

არ დამავიწყდება გულთბილი დამოკიდებულება ჩემსა და საერთოდ ყველა პაციენტის მიმართ, რომელსაც იჩენდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ახალგაზრდა პროფესორი, ბატონი გია თომაძე.

მადლობა ყველაფრისათვის, პატივცემულო ადამიანებო.

აქვე მოვიხსენიებ ქირურგებს: ბატონ ბიძინა აფრასიძეს, მამუკა გოლეთიანსა და გიორგი დემეტრაშვილს, რომლებიც მხარში უდგანან უფროს კოლეგებს, ამავე განყოფილების მედდებსა და სანიტარული სამსახურის პერსონალს.

მადლობა ღმერთს, რომ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან თავიანთ საპატიო და პასუხსაგებ საქმეს. ჩვენს დიდ წინაპარს, ვაჟას, დავესესხები და გავიმეორებ მის ნათქვამს:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს თქვენისთანები დედამ!"

პაციენტი ქ.იობაშვილი

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ: 93-18-41

AUDIT ოდიტ

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი მონამლული ხორბლისა და ფერმერების გაღატაკებისა

წლეულს ფერმერებს განსაკუთრებით გაუჭირდათ. გვალვამ და სხვა სტიქიურმა მოვლენებმა მილიონების ღირებულების მოსავალი გაანადგურა. უბედურების ზონად გამოცხადდა საგარეჯოს, სიღნაღის, გურჯაანის რაიონები... მარტო საგარეჯოს რაიონში ზარალის ოდენობამ 6 მლნ 500 ათას ლარს გადააჭარბა. კახეთში ალოობა ორ თვეზე მეტია გრძელდება. ასეთი რამ ჭარმაგ კახელებსაც კი არ ახსოვთ.

როგორც ცნობილია, საქართველოში ევროკავშირის საპარტნიორო ფონდის შექმნა მიზნად ისახავდა ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, მაგრამ „ივერთბანკის" საკრედიტო განყოფილების უფროსის, ზაზა დოდაშვილის თქმით, „ტასის-ს გლეხებისათვის არანაირი შეღავათის გაწევა არ სურს და არანაირ დათმობაზე არ მიდის. არც სესხების დაფარვის გადავადება აწყობს მას. ჩვენი კლიენტები საგარეჯოს რაიონის ფერმერები არიან. იძულებული ვხდებით ჟანდარმების როლში გამოვიდეთ და გლეხებს სესხის მისაღებად გირაოში ჩადებული სახლები გავუყიდოთ".

ამ აზრს ტასის-ის საპარტნიორო ფონდის ე.წ. „ხორბლის კრედიტების" პროგრამის მონაწილე კომერციული ბანკების უმრავლესობა იზიარებს. ფინიშზე თითქმის ყველა მათგანი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ კრედიტების დაფარვის ბოლო ვადა ოქტომბრისათვის იწურება.

ქვეყანაში, სადაც არ მოქმედებს კანონი მიწის საკუთრების შესახებ, არ არის ჩამოყალიბებული სადაზღვევო სისტემა და. არასრულფასოვანია კანონი გირავნობის შესახებ, „ხორბლის კრედიტების" გაცემა ჩვენი მხრიდან წმინდა პატრიოტული ენთუზიაზმი აღმოჩნდა, – აცხადებენ ბანკირები.

1996 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სოფლის მეურნეობის მარცვლეულის სექტორში დასაქმებულ კერძო ფერმერებზე, ვაჭრებზე, მეწისქვილეებსა და მცხობელებზე, 20 სერტიფიცირებული ბანკის მეშვეობით, საპარტნიორო ფონდის სახსრებდან 10,2 მლნ. ლარის საკრედიტო რესურსი გაიცა. ამ თანხაში არ შედის საკრედიტო კავშირებზე გაცემული თანხები, რაც 619 ათას ლარს შეადგენს. საკრედიტო კავშირებისათვის კი სულ გამოყოფილი იყო 695735 ლარი.

გარდა ამისა, საპარტნიორო ფონდის ინფორმაციით, ახლახანს ბრიუსელიდან მოვიდა ცნობა, რომ ადგილობრივი ხორბლის შესყიდვისა და გადამუშავების მიზნით, ევროკავშირი სახელმწიფოს მარეგულირებელი საბჭოს რეზერვიდან დამატებით გამოყოფს 3-3,5 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო რესურსებს. მაგრამ ერთი პირობით – თანხების მიღება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება ადრე მიღებული სესხები.

გაცემული სესხების ამოღების მექანიზმი სრულიად მარტივი და, რაც მთავარია, აღნიშნული ფონდისთვის სრულიად კანონიერია. საპარტნიორო ფონდი კომერციულ ბანკებს დაფარვის ვადის გასვლისთანავე „დაუკითხავად აჭრის" კუთვნილ სახსრებს. თავის მხრივ, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონზე" დაყრდნობით, ბანკები იძულებული ხდებიან აამოქმედონ კანონი გირავნობის შესახებ, რასაც საბოლოოდ მემამულე-ფერმერების მიერ გირაოში ჩადებული ქონება ეწირება. ვერაფერს იტყვი – ყველაფერი ხდება კანონიერი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ტასის-ის რარპ 1 პროგრამის წამყვანი საბანკო სპეციალისტი პიტერ შოუ კი დღეს აცხადებს, რომ „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილ სესხებს საბანკო სისტემა უწევს მომსახურებას. ბანკისა და კლიენტის ურთიერთობაში კი ტასის-ი არ ერევა".

მისივე თქმით, „სესხების დაბრუნებაზე გადავადება არ ყოფილა და არც არის მოსალოდნელი. პრობლემა, თუკი ამ ორ რგოლს შორის მსგავსი რამ არსებობს, მხოლოდ მათი მოსაგვარებელია. სესხის გაცემა თავისთავად რისკთანაა დაკავშირებული, რაც კიდეც უნდა გაეთვალათ ბანკებს".

როგორც ირკვევა, სანამ „პატრიოტულ საქმეს" მოკიდებდნენ ხელს, პირველ რიგში ბანკებს მარცვლეული კულტურების სელექციონერი ექსპერტებისათვის უნდა მიემართათ, რადგან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში თვლიან, რომ ფერმერებს ვალის დაბრუნებაში არა მარტო ბუნებამ და საკანონმდებლო ბაზაში არსებულმა ვაკუუმმა შეუშალა ხელი, არამედ სხვა მრავალი ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა ხარვეზებმაც. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ თავიდანვე უხარისხო და დაავადებული მარცვალი დათესეს.

შემოტანილი იყო გუდაფშუტით დაავადებული და გადაუმოწმებელი ხორბლის თესლი, რამაც ნათესების დიდი ფართობი გაანადგურა. გუდაფშუტა ისეთი დაავადებაა, რომლის გასავრცელებლად ერთი მარცვალიც კი კმარა. განსაკუთრებით სახიფათოა მტვრიანა გუდაფშუტა, რომელიც თესლს ჩანასახშივე ანადგურებს. მისით დავადებული ხორბლის პური კი მომწამვლელია და საკვებად უვარგისია, თვლიან სელექციური მიღწევების, გამოცდისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის წევრები.

პრობლემა ასევე შექმნა არააპრობირებული და დაურაიონებელი ჯიშების სათესლედ შემოტანამ, რაც კანონით იკრძალება. საქართველოში ამ საქმიანობას ძირითადად „მემამულეთა კავშირი" ეწევა.

თურმე, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრისათვის ეს ფაქტი მხოლოდ ახლახანს გახდა ცნობილი. „ვერ გავიგე, რა ხდება. კანონებს რიგიანი წაკითხვა უნდა", – განაცხადა მან ერთ-ერთ თათბირზე.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ჯიშების დარაიონებას თავად ამ ჯიშის ავტორის ნებართვა სჭირდება. არ არის გამორიცხული, რომ დღეს საქართველოში „მემამულეთა კავშირის" მიერ იმპორტირებული და პრიორიტეტულად მიჩნეული ამერიკული ჯიშის ხორბლის ავტორებმა ერთ მშვენიერ დღეს სახელმწიფოს საკმაოდ დიდი თანხები გადაახდევინონ. ამასთანავე, ქართველ სპეციალისტთა დასკვნით, უკვე დარაიონებულ ზემოხსენებული ჯიშის ხორბალს, ადგილობრივებზე უკეთესი თვისებები არ გააჩნია.

ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ტასის-ის მსგავსმა ინსტიტუტმა თავიდანვე არ უწყოდა საქართველოში ამ სახის სესხების ეფექტურად ათვისებისა და განთავსების მექანიზმის მთელი სირთულის შესახებ.

ისმის კითხვა – რას ისახავს მიზნად საპარტნიორო ფონდი და ვისი პარტნიორია იგი? ქართველი ბანკირების აზრით, ხორბლის კრედიტის ათვისება-ამოღების ერთწლიანი ბატალიების მიხედვით, ტასისი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის მართვის ტრენინგს უფრო ისახავს მიზნად, ვიდრე საქართველოში ფერმერობის განვითარების ხელშეწყობას.

თამარ მირიანაშვილი, „პრაიმ-ნიუსი"

ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს მთაწმინდის რაიონის მოსამართლე

გუშინ გავრცელებულ განცხადებაში სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გ.კერვალიშვილი ეხება ასევე მთაწმინდის რ-ნის მოსამართლის სერგო ლომსაძის „უკანონოდ“ დაკავების ფაქტს. მისი თქმით, ს.ლომსაძეს კაბინეტში დაუდეს გაზეთში გახვეული 1000$, რადგან მან უკანონოდ სცნო ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დახურვა. „ეს მეთოდი მოგვაგონებს ავადსახსენებელი კომუნისტური რეჟიმის ცნობილ მეთოდებს, თუ როგორ შეიძლება ხელისუფლებამ ესა თუ ის პიროვნება „გააფუჭოს“ – ნათქვამია გ.კერვალიშვილის განცხადებაში.

მთაწმინდის რ-ნის მოსამართლის სერგო ლომსაძის დაკავებასთან დაკავშირებით, „იფრინდა“-ს კორესპონდენტი დაუკავშირდა შსს-ს პრეს-სამსახურს, საიდანაც მას აცნობეს, რომ შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მოსამართლე ს.ლომსაძე დააშალის წასწრებისას, ა.წ. 24 სექტემბერს დააკავეს.

დაკავებულმა, უზენაესი სასამართლოს შენობიდან მ.სამსონიშვილის გაქცევის ფაქტზე აღძრულ საქმეზე, რომელსაც იგი იხილავდა, განსასჯელ ლ.გაჩეჩილაძეს, სასჯელის ზომის განსაზღვრის შემცირებისათვის 1000$ გამოსძალა. აღნიშნული თანხა ამოღებულ იქნა ს.ლომსაძის სამუშაო მაგიდიდან.

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, ს.ლომსაძის დაკავებაზე თანხმობა მიღებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, საქართველოს კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ 52-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მასალები გადაეცა თბილისის პროკურატურას.

„იფრინდა“-ს კორესპონდენტს მთაწმინდის რაიონის სასამართლოს კანცელარიის გამგემ მერი დარსმელიძემ განუცხადა, რომ „ს.ლომსაძის დაკავების ფაქტი წმინდაწყლის პროვოკაციაა და მის სიმართლეში მალე დარწმუნდება“. მისივე თქმით, მოსამართლის დაკავებაზე უზენაესი სასამართლოს თანხმობა არ ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით „იფრინდა“-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯიმი ყიფიანმა განუცხადა, რომ მოსამართლის დაკავებაზე თანხმობა მან გასცა, რადგან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ქალაქში არ იმყოფება. მისივე თქმით, თანხმობა გაიცა მას შემდეგ, რაც ს.ლომსაძეს წაასწრეს ქრთამის აღების ფაქტზე. (იფრინდა)

ყველგან რუსის ბინძური ხელი ურევია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეა-ს კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, გაჯან გაჯიევს: – კავკასიის ქვეყნები ისტორიულად თუ გეოგრაფიულად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და რეგიონში მიმდინარე პროცესები ყველა კავკასიურ სახელმწიფოს გარკვეულწილად ეხება. ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხი თავისი მეზობლების პრობლემებითაა დაინტერესებული.

– რა კომენტარს გააკეთებდით აზერბაიჯანის ხელისუფლების თვალსაზრისს „რუსეთის ფედერაციასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ“ მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტის თაობაზე?

– აზერბაიჯანის რესპუბლიკა პატივს სცემს და აღიარებს რუსეთის ფედერაციის უფლებას, დადოს და განახორციელოს ხელშეკრულებები, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების განმტკიცებისაკენაა მიმართული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაცია გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და ეუთოს მინსკის კონფერენციის თანათავმჯდომარეა და მოწოდებულია, ბოლო მოუღოს კონფლიქტს, ამასთანავე, პასუხს აგებს მშვიდობასა და სტაბილურობაზე მთელ მსოფლიოში. ამასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკისთვის გაუგებარია რუსეთის ფედერაციასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის 1997 წლის 29 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი. კერძოდ: დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაცია და სომხეთის რესპუბლიკა ითანამშრომლებენ ორი სახელმწიფოს „ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის საქმეში“. რუსეთისათვის, როგორც მედიატორი სახელმწიფოსათვის, ცნობილი უნდა იყოს, რომ სომხეთმა, დღემდე შეუცვლელი მთელი რიგი დოკუმენტებით, დეკლარირება გაუკეთა სომხეთის შემადგენლობაში მისი ჯარების მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიის (მთიანი ყარაბაღის) გაერთიანებას. რუსეთის ხელისუფლების ვალდებულება სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ ორაზროვანია და განმარტებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, ემთხვევა თუ არა რუსეთის ფედერაციის და სომხეთის განმარტება ტერმინის – „სომხეთის ტერიტორიული მთლიანობა“, მეორეც, თუ ემთხვევა, მაშინ რის დაცვას აპირებს რუსეთი – მსოფლიოს მიერ აღიარებულ საზღვრებში სომხეთის ტერიტორიისა თუ, ამასთანავე, სომხეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით მიერთებული აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიის დაცვასაც. არის კიდევ რამდენიმე მუხლი, რომელიც ასევე მოითხოვს განმარტებას.

– ცნობილია თუ არა სომხეთისათვის რუსეთის მიერ იარაღის უკანონო მიწოდებასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების შედეგები?

– შექმნილია რუსულ-აზერბაიჯანულ-სომხური კომისია, რომელიც ამ საკითხის გამოძიებითაა დაკავებული. ამჟამად მოსკოვში იმყოფება აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი აბასოვი, რომელიც ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობს. გაეროს №853 რეზოლუცია კრძალავს კონფლიქტის ზონაში იარაღის მიწოდებას, რის გამოც ზემოთაღნიშნული ფაქტი დეტალურ გამოძიებას საჭიროებს.

გალინა გოთუა. (გეა)

შაყირეორდი



თარაზულად: 5. ზამთრის სუსხში უქუდოდ მოსიარულე კაცის თავის საქილიკო შიგთავსი; 8. ავტომუსიკალური ნაწილი; 9. ლენას მეზობელი ციმბირში; 12. ის, რითიც ძირითადად განსხვავდებიან ბატის ფეხები ქათმის ფეხებისაგან; 13. მარტივი ვენტილიატორი; 15. ლუდის დედა; 18. რვასაუკუნოვანი დობილი; 19. იმ უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი პირის (რომლის სიცოცხლეზეცაა დამოკიდებული პუშკინის დიდების შენარჩუნება) სამშობლოს დედაქალაქი; 20. მეცნიერი, რომელიც აპერცხის მაგივრად საათის მოხარშვას ცდილობდა. 21. კაცის დაბნევის ხარისხის მაჩვენებელი (გამოთქმა); 23. საყოველთაო ციებ-ცხელების ვირუსი დღევანდელ საქართველოში; 25. ლერმონტოვის თეთრი ეული; 26. პატარა და გალეული; 29. შვილივით ნაზარდი; 30. კეკლუცი თევ; 32. ლენას მეორე ციმბირელი მეზობლის დამაგრძელებელი; 34. ადგილი გამორჩეული „ყაყაჩოების სიხშირით“ (ლადო).

ზვეულად: 1. გაერთიანება პაპის ირგვლივ; 2. ჩვენი ბავშვობის ერთგული ხარი; 3. იმ კაცის სახელი, ვის სიკვდილშიაც ეჭვი ეპარებათ მარტოხელა მხედრის გამოჩენისას; 4. რაიმე მიმდინარეობის ბოლო; 6. ბოუარსკის თანამებრძოლის მეუღლე; 7. სტუდენტთა გამგებელი; 10. მძიმე ხაზის ზემოთ; 11. ეშმაკების უსტაბაში; 14. სტუდენტთა მბრძანებელი; 16. ქლესა პატარა ძაღლი; 17. ჯილაგის ნათესავი; 22. შწვანე საჩუქარი რუბიკ ხაჩიკიანისათვის; 24. რაჭული აკრობატიკის პროდუქტი; 27. აყალ-მაყალი, აურ-ზაური, ვაი-უშველებელი მკირე ორთოგრაფიული უზუსტობით; 28. ბატონიშვილი; 31. პეტროვის განუყრელი კოლეგა; 33. ბერი პაპის ნანადირევი.

ვალერი სოლოვეი

წინა ნომრის პასუხები

მიყრდნობილად: 1. ხეიბარი; 2. გრაფი; 4. კორესპონდენტი; 5. ფაშიზმი; 6. ანტრაქტი; 9. მინორი; 13. ესტონელი; 14. კ) კაპური; 15. ხუმარა; 18. ორბი; 22. გარმონი; 24. რემენი; 25. ლებანი; 26. სოლ; 27. მაია; 28. ფარჩა; 30. კაბა; 32. სიკო.

მიწოლილად: 3. ნიკოფსია; 7. მეომარი; 9. შიშინი; 10. ფურცელი; 11. საცობი; 12. ქლესა; 16. ოლიფა; 17. ქ) ქოქოსი; 19. პალმა; 20. ელექსირი; 21. ბარიერი; 23. მრგვალი; 20. ლ) ლობიო; 31. ატმოსფერო; 33. ქირა; 34. ალია; 35. მარმარილო.

ლაზარია ყველასათვის

26 სექტემბერს გამართულ 38-ე ტირაჟში „ლაზარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – 800309;	70 ლარი – *46342;
1000 ლარი – 604398;	60 ლარი – *44087;
900 ლარი – 839012;	60 ლარი – *19474;
800 ლარი – 119602;	50 ლარი – *40787;
700 ლარი – 413492;	50 ლარი – *26927;
600 ლარი – 435630;	40 ლარი – *39803;
500 ლარი – 336781;	40 ლარი – *40145;
400 ლარი – 735848;	30 ლარი – *26054;
300 ლარი – 138105;	30 ლარი – *44214;
300 ლარი – 336076;	25 ლარი – **6503;
200 ლარი – 842107;	20 ლარი – **0545;
200 ლარი – 830565;	10 ლარი – ***505;
100 ლარი – 401252;	10 ლარი – ***507;
100 ლარი – 415309;	10 ლარი – ***589;
100 ლარი – 728078;	5 ლარი – ***270;
100 ლარი – 840014;	1 ლარი – ***309;
100 ლარი – 840107;	1 ლარი – ***781;
90 ლარი – *24822;	1 ლარი – ***630;
90 ლარი – *38278;	1 ლარი – ***398;
80 ლარი – *48143;	1 ლარი – ***492;
80 ლარი – *33274;	1 ლარი – ***602;
70 ლარი – *22438;	1 ლარი – ***012;

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის 38-ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **5343:** შეუძლიათ 3 ოქტომბერს მობრძანდნენ ტელევიზიის შენობაში „ლატარია ყველასათვის“ მორიგი ტირაჟის გათამაშებაზე.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშპინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444